

რობერტ ლაიალი, „მოგზაურობა რუსეთში, ყირიმში, კავკასიასა და საქართველოში“

Robert Lyall, Travels in Russia, the Krimea, the Caucasus, and Georgia, Volume 1, London, Printed for T. Cadell, in the Strand & W. Blackwood, Edinburgh, 1825

We crossed a small stream, by a stone bridge, and soon reached the barrier of the town, upon the top of a hill, where we left our order for posthorses, which also served as a kind of passport. A little farther on we gave in our certificate of health from the captain of Anannoor, to the chief of the quarantine of Tiflis. We now passed into the town, but had much difficulty in finding lodgings. An Englishman made himself known to us, and (507) conducted us to an inn kept by a German, who gives good dinners, but has no apartments for travellers. During our repast, two rooms were found at an Armenian's of the name of Piranof. (508)

ჩვენ ქვის ხიდით პატარა ნაკადულოზე გადავედით და მალევე გორაკის თავზე ქალაქის საგუშაგოს მივაღებეთ, სადაც ფოსტის ცხენების მისაღებად ჩვენი მოთხოვნა (*პოდოროჟნაია*) დავტოვეთ, რომელიც ერთგვარ პასპორტად გვემსახურებოდა. ცოტა მოშორებით, ტფილისის კარანტინის უფროსს ანანურის კაპიტანისგან [მიღებული] ჩვენი ჯანმრთელობის ცნობა გადავეცით. ქალაქში შევედით, მაგრამ საცხოვრებელი დიდი გაჭირვებით ვიპოვეთ. ჩვენ ერთი ინგლისელი გაგვეცნო და ერთ გერმანელის ფუნდუკში მიგვიყვანა, რომელსაც კარგი სადილი აქვს, მაგრამ მოგზაურთათვის ოთახები არ აქვს. ჩვენი ტრაპეზის დროს ორი ოთახი სომეხთან, გვარად *პირანოვთან*, მოიძებნა.

One of the aides-de-camp of General Vilyemínof, the second in command, waited upon us with a very polite letter from General Yermolof, in which, among other things, was his advice, as to the part of (508) Georgia, we should visit during our stay. General Vilyemínof, at the same time, invited us to dinner, through his aide-de-camp, at the early hour of one o'clock, which we found to be the usual dinner-hour of polite society, all of whom take a *siesta* after their nearly mid-day repast. We dined with a number of officers, and drank some excellent Georgian wine. The general was remarkably hospitable, both on this occasion and during our stay in Tiflis. We employed the afternoon in making visits, walking in the public gardens, examining the baths, &c. and in the evening, the commandant conducted us to his house to supper, and was extremely civil. We found Mr. Grabáritch (for that was his name) a very singular man. He is a Hungarian by birth, but, having been long in the service of Russia, he spoke the language of that country pretty well. He is one of the most restless persons I ever saw; standing or sitting, his body and limbs were continually changing their position. He speaks a little French, German, Latin, and Italian jargon. He plays on the flute, the flageolet, the guitar, and the piano-forte; but on none of them well (509).

გენერალ ველიამინოვის ერთ-ერთი ადიუტანტი, უფროსობის მიხედვით მეორე, გენერალ ერმოლოვის ძალიან თავაზიანი წერილით გველოდა, რომელშიც, სხვათა შორის, იყო მისი რჩევა საქართველოს იმ ნაწილის შესახებ, რომელიც უნდა მოგვენახულებინა ჩვენი აქ ყოფნის განმავლობაში. იმავე დროს, გენერალმა ველიამინოვმა თავისი ადიუტანტის მეშვეობით დღის პირველ საათზე სადილად დაგვპატიჟა, რაც, როგორც გავარკვიეთ, ჩვეულებრივი სადილობის დრო იყო მაღალ წრეებში, სადაც შუადღის სადილის შემდეგ ყველა ისვენებს. ჩვენ რამდენიმე

ოფიცერთან ერთად ვისადილეთ და შესანიშნავი ქართული ღვინო დავლიეთ. გენერალი საოცრად სტუმართმოყვარე იყო, როგორც ამ შემთხვევაში, ისე ჩვენი ტფილისში ყოფნის დროს. შუადღე ვიზიტებისთვის, ბაღებში სეირნობისთვის, აბანოების დათვალიერებისა და ა.შ. გამოვიყენეთ, საღამოს კი კომენდანტმა თავის სახლში წაგვიყვანა სავახშმოდ და მეტად თავაზიანი იყო. ბატონი *გრაბარიჩი* (Grabáritch რადგან ეს იყო მისი გვარი) ძალიან უცნაური კაცი აღმოჩნდა. ის წარმოშობით უნგრელია, მაგრამ დიდი ხანია, რაც რუსეთის სამსახურშია და საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა ამ ქვეყნის ენაზე. ის ერთ-ერთი ყველაზე მოუსვენარი ადამიანია, ვინც კი ოდესმე მინახავს; ფეხზე დგომის თუ ჯდომის დროს მისი სხეული და კიდურები გამუდმებით იცვლიდნენ პოზიციას. ის ცოტას ლაპარაკობს, ფრანგულ, გერმანულ, ლათინურ და იტალიურ ჟარგონზე, უკრავს ფლეიტაზე, ფლაჟოლეტზე, გიტარასა და ფორტეპიანოზე, მაგრამ კარგად – არც ერთზე.

Tiflis is surrounded by a wall of a triangular form, and has six gates which are still used. It is divided into three parts : 1st, Tiflis, properly so called, or the ancient town, in which are the warm baths, very small, and on the east of the Koor; 2d, Kala, or the fortress, situated to the north of the preceding, on the west of that river, and which is more populous; and 3d, the suburb Isni, or Avlabári, which is separated from the other divisions by the Koor, but is connected with them by the only bridge across this river in the city. Not (512) very long ago, there were at Tiflis nearly twenty churches of the Greek religion; fifteen Armenian churches; and one church of the Roman Catholic faith, administered by Italian capuchins. The Persians have also a mosque. (513)

ტფილისს აკრავს სამკუთხა ფორმის კედელი და აქვს ექვსი კარიბჭე, რომლებიც დღემდე გამოიყენება. ის სამ ნაწილად იყოფა: პირველი საკუთრივ ტფილისი ანუ უძველესი ქალაქი, რომელშიც არის თბილი აბანოები, ძალიან პატარაა და მტკვრის (Koor) აღმოსავლეთითაა; მეორე, კალა ანუ ციხესიმაგრე, რომელიც პირველის ჩრდილოეთით, ამ მდინარის დასავლეთით მდებარეობს და უფრო დასახლებულია; მესამე, გარეუბანი ისანი ანუ ავლაბარი, რომელიც სხვა ნაწილებისგან მტკვრითაა გამოყოფილი, მაგრამ მათთან ამ მდინარეზე გადებული ქალაქის ერთადერთი ხიდითაა დაკავშირებული. არც ისე დიდი ხნის წინ ტფილისში ოცამდე ბერძნული სარწმუნოების, თხუთმეტი სომხური და ერთი რომაული კათოლიკური რწმენის ეკლესია იყო, რომელსაც იტალიელი კაპუცინები მართავენ. სპარსელებს აგრეთვე აქვთ მეჩეთი.

We had expected to have found the Caravanserais much more imposing edifices, and better supplied with merchandise from eastern countries, than was the case. There are two of them at Tiflis, the one for the Turks, and the other for the Persians. They are square buildings, not unlike some prisons. They surround squares, with a double row of piazzas, one above the other, and are divided into numerous small unfurnished apartments, in which these foreigners pile up their merchandise, and reside, In the day they sit cross-legged upon the floor, smoking their pipes, or assembled in small parties for the same purpose, till a visitor enters. In the night they make their beds upon wadded covers, and thus they pass their time till they have finished their affairs, when they begin a new journey. (517)

ჩვენ ველოდით, რომ ქარვასლები ბევრად უფრო შთამბეჭდავი ნაგებობები და აღმოსავლეთის ქვეყნების საქონლით უკეთ მომარაგებული იქნებოდა, ვიდრე ეს სინამდვილეში იყო. ტფილისში ორი ქარვასლაა, ერთი თურქებისთვის, მეორე – სპარსელებისთვის. ეს კვადრატული შენობებია და მცირედ თუ განსხვავდებიან ზოგიერთი ციხისგან. ისინი გარს ერტყმიან მოედნებს, ერთმანეთზე მდებარე ორმაგი თაღების (piazzas) რიგით და მრავალრიცხოვან პატარა არამებლირებულ სათავსოებად იყოფა, რომლებშიც ეს უცხოელები ინახავენ თავიანთ საქონელს და ცხოვრობენ. დღისით ისინი გადაჯვარედინებულები ფეხებით სხედან იატაკზე, ეწევიან ყალიონებს ან პატარა ჯგუფებად იკრიბებიან მოსაწევად, სანამ მყიდველი არ მივა. ღამდამობით ისინი ბამბის ფარდაზე აგებენ ლოგინს და ასე ატარებენ დროს, სანამ თავიანთ საქმეებს არ დაასრულებენ და ახალ მოგზაურობას არ დაიწყებენ.

Two large ranges of new shops, or *Caravanserais*, have been lately erected near Yermolof's palace. Few of them were occupied, and, indeed, they were not all finished, in 1822. We were rather surprised at finding an Englishman, who had just commenced business in one of them. But where can (517) we go without meeting with our country men? This part of the town assumes an European aspect, but it still includes hundreds of Asiatic hovels, like terraces, in the sides of the hills, which being extremely low, flat-roofed, and mean, they are in many places scarcely visible until we are close upon them (518).

ერმოლოვის სასახლის მახლობლად ახლახან ახალი მაღაზიების ანუ ანუ ქარვასლების ორი დიდი რიგი აშენდა, რომელთაგან ცოტა იყო დაკავებული და 1822 წელს ყველა კიდევ არ იყო დასრულებული. ჩვენ საკმაოდ გაგვიკვირდა ინგლისელი კაცის ნახვა, რომელსაც ერთ-ერთ მათგანში ახლახან დაეწყო თავისი საქმე. მაგრამ სად წავალთ ისე, რომ ჩვენებურ კაცს არ შევხვდეთ? ქალაქის ეს ნაწილი ევროპულ იერსახეს იძენს, მაგრამ იქ მაინც არის ასობით აზიური ქოხი, რომლებიც ბორცვების ფერდობებზე ტერასებს ჰგავს, ისინი უკიდურესად დაბალი, ბრტყელსახურავიანი და უბრალოა; ბევრგან მათ თითქმის ვერ დაინახავ, სანამ არ მივუახლოვდებით.

In order to make a visit to the suburb of Avlabári, we crossed the Koor by a wooden bridge, at the side of which is the only mosque now in the town. It is intended soon to replace this bridge by one of stone. After passing it, a rude representation of the *Holy Supper*, cut out of the solid rock, and in an alcove ornamented with pillars, attracted notice. Great reverence is paid to this rude workmanship, the origin of which I could not learn. Ascending the hill, we reached an old fortress, which stands upon a bold rock; it was undergoing a thorough repair, preparatory to its becoming the chief prison of Georgia. We were told that it is the design of General Yermolof to make Tiflis a completely European town, and to allow this suburb only to retain its Asiatic character. In the meantime it exhibits nothing but meanness and wretchedness. (521)

ავლაბრის გარეუბანში მისასვლელად მტკვარზე ხის ხილით გადავდით, რომლის გვერდით ქალაქში ერთადერთი მეჩეთი მდებარეობს. უახლოეს მომავალში ამ ხიდის ქვის ხილით ჩანაცვლება იგეგმება. მასზე გავლის შემდეგ, ყურადღება მიიპყრო წმინდა სერობის (the Holy Supper) უხეშმა გამოსახულებამ, რომელიც ამოჭრილი იყო მთლიან კლდეზე, სვეტებით მორთულ ნიშაში. ამ უხეშ ნამუშევარს, რომლის წარმომავლობაც ვერ გავიგე, დიდ პატივს

სცემენ. ბორცვზე ასვლისას, ძველ ციხესიმაგრეს მივაღწიეთ, რომელიც ციცაბო კლდეზე დგას; მას საფუძვლიანი რემონტი უტარდებოდა, რათა ის საქართველოს მთავარი ციხე გახდეს. გვითხრეს, რომ გენერალ ერმოლოვს გეგმად აქვს ტფილისის სრულიად ევროპულ ქალაქად ქცევა და აზიური ხასიათის მხოლოდ ამ გარეუბნისთვის შენარჩუნება. ამჯერად იქ არაფერია სიღარიბისა და უბედურების გარდა.

(ინგლისურიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)